საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030193958195418

№ 01-17/მ **02 / თებერვალი / 2018 წ.**

პაატა ჟორჟოლიანისა და ირმა გელაშვილის მივლინების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. ანკარაში ევრაზიის ქვეყნების დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მეორე სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 05 თებერვლიდან 2018 წლის 08 თებერვლის ჩათლით (ოთხი დღის ვადით) თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. ანკარაში **მივლინებულ იქნენ** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე - **პაატა ჟორჟოლიანი** და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ირმა გელაშვილი**.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მგზავრობის, სასტუმროსა და 6-7 თებერვალს კვების ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აანაზღაუროს სადღეღამისო ხარჯების ნორმა.

საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2018 წლის 02 თებერვლის №01-2332 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი დავით სერგეენკო